ოქმი #1

საერთო კრების ოქმი

08 11.2019 წ.

15:00 სთ

კრების ადგილი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სუფსის ადმინისტრაციული ერთეული კულტურის სახლი;

კრებას ესწრებოდა: სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები 200 ამომრჩეველი (გენდერის დაცვით), მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ კუკულავა, მერის წარმომადგენელი დავით გუმბარიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია

კრებას მოდერატორობდა
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი

კრების მდივანი
ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია

დღის წესრიგი

სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში საერთო კრების რჩეულის არჩევის შესახებ

მომხსენებელი მუნიციპალიტეტის მერი: ა.სარიშვილი

კრების მოდერატორმა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა დღევანდელი კრების მოწვევა მოხდა მისი ინიციატივით. თვით მართველობის კოდექსის შესაბამისად. ამ შემთხვევაში მისი მიზანია ადგილობრივ თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართვის უზრუნველყოფა. რაც გათვალისწინებულია კანონით. საერთო კრება უფლებამოსილია თავისი საქმიანობის წარმართვის და ხელშეწყობის მიზნით საკუთარი შემადგებლობიდან აირჩიოს საერთო კრების რჩეული. რომელსაც გააჩნია გარკვეული უფლება ვალდებულებები რაც გაწერილია კანონონში. გთხოვთ საინიციატივო ჯგუფმა წარმოადგინოს რჩეულის კანდიდატურები და ვუყაროთ კენჭი.

დარბაზიდან ინიციატორების მიერ წარმოდგენილი იქნა რჩეულის კანდიდატურა სადაც მათი არჩევანი შეჩერდა ბატონ ემზარ გოგუაძეზე მცხოვრები სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში.

მოდერატორმა მიმართა კრებაზე დამსწრე პირებს თუ როგორი წესით წარიმართოს არჩევნები

კრების მონაწილეთა ერთსულოვანი აზრით ვინაიდან ინიციატორთა მიერ წარმოდგენილია ერთი კანდიდატურა კენჭისყრა წარიმართოს ღიად.

დაადგინეს: კრებაზე კენჭისყრა წარიმართოს ღია კენჭისყრით.

აზრი გამოთქვეს: კრებაზე დამსწრე პირებმა ემზარ გურგენაძემ, ოთარ დობორჯგინიძემ, ნაზიბროლა ხალვაშმა, ლელა ბლაგიძემ დაახასიათეს დადებითად რჩეულის კანდიდატურა, რომელიც სოფელში სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით და პატივს სცემენ მის პიროვნებას და აზრს და მიმართეს დარბაზს მხარდასაჭერად.

ემზარ გოგუაძემ გამოთქვა თანხმობა მხარდაჭერის შემთხვევაში იყოს საერთო კრების რჩეული.

დაადგინეს: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში საერთო კრების რჩეულად ერთსულოვნად არჩეულ იქნეს ემზარ გოგუაძე, დაბადებული 1964 წელს, უმაღლესი ტექნიკური განათლებით.

კრების მოდერატორმა მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა რჩეულს გააცნო მისი უფლება მოვალეობები და მიულოცა ადმინისტრაციულ ერთეულში ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერა.

კრების მოდერატორი ალექსანდრე სარიშვილი

კრების მდივანი მაგული კუნჭულია